ფრანგი აქიმი

24 ივლისის დილა იდგა, მზე ახლახანს ამოწვერილიყო და თავისი სხივები კახეთის სამეფოს დედაქალაქისთვის ყვარლისთვის მოეფინა. ამ დროს მეფე ერეკლე ყვარლის რეზიდენციაში სამეფო ტახტზე მოკალათებულიყო და მსახურს წერილის ტექსტს კარნახობდა. ვინმე სტეფანე ფოღოაშვილს უწერდა რომ, სტამბულიდან ჩამოსულ ფრანგ ექიმს უნდა დახვედროდა.როგორც კი წერილი მიუვიდა მაშინვე გაემართა ექიმთან შესახვედრად. შეხვედრა ქალაქის მოედანზე მირზა გურგენის სახლთან უნდა შემდგარიყო. ფრანგი ექიმი სინამდვილეში საფრანგეთის სამეფო კარის მიერ იყო წარმოგზავნილი რადგან ერეკლე მეფეს მასთან დიპლომატიური ურთიერთობების გაღრმავება სურდა. კახეთის სამეფოდან ელჩი რამდენიმე თვის წინ ირანის იმპერიისგან მალულად იყო მივლენილი, ახლა კი საფრანგეთს საპასუხოდ გამოეგზავნა მისი წარმომადგენელი.

სტეფანე უკვე ქალაქის მოედანზე იყო, გარშემო ხალხი ირეოდა, რადგან ბაზრობა გამართულიყო. რა ჯურის ხალხს აღარ მოჰკრავდი თვალს: სპარსელები ინდოეთიდან შემოსულ სანელებლებს ყიდდნენ, არაბები ძვირფას ქსოვილებს, მოსკოვიტები ძვირფას სამკაულებს. გარშემო სხვადასხვა შეძახილები ისმოდა: -ბორჩალის ხალიჩები 40 აბაზად.... , იყიდეთ კუბდარი... , ქსოვილები სპარსეთიდან. სადღაც ბავშვები ხილს იპარავდნენ, სადღაც ცხვარს კლავდნენ მოკლედ, დიდი არეულობა იყო.

რამდენიმე საათიანი ლოდინის შემდეგ ფრანგი ექიმიც გამოჩნდა, ურემზე შემომჯდარიყო და მირზა გურგენის სახლისკენ მოემართებოდა. იგი მაღალი, გამხდარი, ქერა ახალგაზრდა გახლდათ, ჩავარდნილი ცისფერი თვალებით, ხოლო წვერი ნიკაპზე მოეშვა. სტეფანე მისკენ გაემართა. ექიმმა მიიხედა, უყურებდა თუ როგორ უახლოვდებოდა დაბალი, შავტუხა ყმაწვილი. სტეფანე გაეცნო და უთხრა თუ რა უნდოდა. დიალოგი სპარსულად შედგა, რადგან ორივე კარგად ფლობდა ამ ენას. ფოღოაშვილმა ურმის პატრონს ფული გადაუხადა შემდეგ კი სამგზავრო ეტლი დაიქირავა და ფრანგ ექიმთან ერთად მეფის რეზიდენციისაკენ გაემართა.

სანდრო თომაძე

16 წლის

ამბროლაურის რაიონი სოფელი გორი

ამბროლაურის N 1 საჯარო სკოლა XI კლასი